საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება № 2

2012 წლის 21 თებერვალი

ქ. თბილისი

ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის 7^1 პუნქტის ა) ქვე პუნქტის და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების თანდართული წესები.
2. (ამოღებულია - 25.12.2018, №8).

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 26.12.2018წ.

3 . დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრები: ს.ბრიტანჩუკი

კ.კვიტაიშვილი

ა.სიხარულიძე

ი.მოსეშვილი

ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი და ამოცანა

1. ამ წესების მიღების მიზანია ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების განსაზღვრა.
2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში – კომისია) ამ წესების შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით, გასცემს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას და ადგენს სარგებლობის პირობებს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

თავი II
ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვება

მუხლი 2. ნუმერაციის რესურსის სარგებლობის უფლების მოპოვების ზოგადი წესი

1. ნუმერაციის რესურსი გაიცემა კომისიის მიერ, წინამდებარე წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებულ (შემდგომში – ავტორიზებული პირი) ან/და არაავტორიზებულ პირებზე, კომისიის გადაწყვეტილებით, სარგებლობის უფლების მინიჭების საფუძველზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. საზოგადოებრივი სამსახურებისთვის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) სარგებლობის უფლების მინიჭება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.
2. ექსტრემალური სამსახურებისთვის (სახანძრო-სამაშველო სამსახურის ერთიანი სამნიშნა ნომერი, საგანგებო სიტუაციებში გადაუდებელი დახმარების გამოძახების ერთიანი სამნიშნა ევრონომერი, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ერთიანი სამნიშნა ნომერი, გაზის საავარიო სამსახურის ერთიანი სამნიშნა ნომერი, საპატრულო პოლიციის ერთიანი სამნიშნა ნომერი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის ერთიანი სამნიშნა ნომერი), ასევე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების და სანიაღვრე საავარიო სამსახურებისთვის გამოყოფილი ერთიანი ფორმატის მოკლე ნომრები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულებით“.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 3 სექტემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 08.09.2015წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

მუხლი 3. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების წესი

1. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების გაცემის საფუძველია თავისუფალი რესურსის არსებობა და მაძიებლის განცხადება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მიღების თაობაზე.

2. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მისაღებად მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) ფიზიკური პირისათვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;

ბ) იურიდიული პირისათვის – საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

გ) (ამოღებულია - 25.12.2018, №8).

3. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

4. განცხადების, ან განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კომისია ნუმერაციის რესურსის მაძიებელს განუსაზღვრავს დამატებით ვადას არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა, რა ვადაშიც მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. თუ კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში ნუმერაციის რესურსის მაძიებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

5. სრულყოფილი განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კომისია ნუმერაციის რესურსის მაძიებელს უგზავნის შეტყობინებას მოთხოვნილი ნუმერაციის რესურსის გაცემის შესაძლებლობის თაობაზე. შეტყობინებაში მიეთითება ნუმერაციის რესურსის მაძიებლის მიერ გადასახდელი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ყოველწლიური საფასურის ოდენობა და გადახდის წესი.

6. ნუმერაციის რესურსის მაძიებელი ვალდებულია კომისიისგან შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში წარუდგინოს კომისიას ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის კომისიის ანგარიშზე გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; იმ შემთხვევაში, თუ ნუმერაციის რესურსის მაძიებლის მიერ კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კომისია იღებს გადაწყვეტილებას ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

7. კომისია გადაწყვეტილებას ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ იღებს ნუმერაციის რესურსის მაძიებლის მიერ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის კომისიის ანგარიშზე გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიაში წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში.

8. ამ მუხლის მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები არ ეხება ამ დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ნუმერაციის რესურსს, რომლის მინიჭების შესახებ კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიაში სრულყოფილი განცხადების წარმოდგენიდან ერთი თვის ვადაში.

9. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იმავე ნუმერაციის რესურსზე ერთდროულად შემოსულია ორი ან მეტი განაცხადი, უპირატესობა მიენიჭება პირველად შემოსულ განაცხადს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 26.12.2018წ.

მუხლი 4. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი

კომისია უარს ეტყვის ნუმერაციის რესურსის მაძიებელს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მინიჭებაზე, თუ:

ა) მის მიერ მოთხოვნილი ნუმერაციის რესურსი არ არის თავისუფალი;

ბ) წინამდებარე წესების მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კომისიაში, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, უკვე დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ნუმერაციის იმ რესურსით სარგებლობის უფლების გაცემის თაობაზე, რომელიც მოითხოვა ნუმერაციის რესურსის მაძიებელმა;

გ) (ამოღებულია - 25.12.2018, №8);

დ) ნუმერაციის რესურსის მაძიებელმა კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში კომისიაში არ წარმოადგინა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 26.12.2018წ.

მუხლი 5. ნუმერაციის რესურსი

1. კომისია ავტორიზებულ პირებს რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის შემთხვევაში ანიჭებს შემდეგი სახის ფასიან ნუმერაციის რესურსს:

ა) გეოგრაფიული ნომრები (რომლის სრული ფორმატი 9-ციფრიანია, შედგება ეროვნული დანიშნულების კოდისაგან (NDC – 2 ან 3 ციფრი) და აბონენტის ნომრისაგან (SN – 6 ან 7 ციფრი), მისი გამოყენება შესაძლებელია ერთი ნუმერაციის ზონის ფარგლებში; გეოგრაფიული ნომრებისათვის ეროვნული დანიშნულების კოდი (NDC) განსაზღვრულია ციფრებით „3“ და „4“) ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის; ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა მინიმუმ 1000 (ერთი ათასი) სააბონენტო ნომრისგან შემდგარ ნუმერაციის ბლოკზე, ხოლო მაქსიმუმ - მინიმალური ოდენობის 10-ჯერად სააბონენტო ნუმერაციის თანმიმდევრულ ბლოკზე;

ბ) არაგეოგრაფიული ნომრები (რომლის სრული ფორმატი 9 ციფრიანია, შედგება ეროვნული დანიშნულების კოდისაგან (NDC – 2 ან 3 ციფრი) და აბონენტის ნომრისაგან (SN – 6 ან 7 ციფრი), მისი გამოყენება შესაძლებელია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე; არაგეოგრაფიული ნომრებისათვის ეროვნული დანიშნულების კოდი (NDC) განსაზღვრულია ციფრებით „5“, „7“, „8“, „9“):

ბ.ა) მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა მინიმუმ 5 000 (ხუთი ათასი) სააბონენტო ნომრისგან შემდგარ სააბონენტო ნუმერაციის ბლოკზე, ხოლო მაქსიმუმ – მინიმალური ოდენობის 10-ჯერად სააბონენტო ნუმერაციის თანმიმდევრულ ბლოკზე;

ბ.ბ) უსადენო შეღწევის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა მინიმუმ 1000 (ერთი ათასი) სააბონენტო ნომრისგან შემდგარ სააბონენტო ნუმერაციის ბლოკზე, ხოლო მაქსიმუმ – მინიმალური ოდენობის 10-ჯერად სააბონენტო ნუმერაციის თანმიმდევრულ ბლოკზე;

ბ.გ) პერსონალური ნომრებით მომსახურებისთვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა მინუმუმ 100 (ასი) სააბონენტო ნომრისგან შემდგარ სააბონენტო ნუმერაციის ბლოკზე, ხოლო მაქსიმუმ – მინიმალური ოდენობის 10-ჯერად სააბონენტო ნუმერაციის თანმიმდევრულ ბლოკზე;

ბ.დ) VOIP – ინტერნეტ პროტოკოლით ხმოვანი სატელეფონო კავშირით მომსახურებისთვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა მინიმუმ 1000 (ერთი ათასი) სააბონენტო ნომრისგან შემდგარ სააბონენტო ნუმერაციის ბლოკზე, ხოლო მაქსიმუმ – მინიმალური ოდენობის 10-ჯერად სააბონენტო ნუმერაციის თანმიმდევრულ ბლოკზე;

ბ.ე) ინტელექტუალური ქსელებით (მათ შორის, უფასო, განაწილებული ხარჯებით, დამატებული ღირებულების) მომსახურებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა მინიმუმ 10 (ათი) სააბონენტო ნომრისგან შემდგარ სააბონენტო ნუმერაციის ბლოკზე, ხოლო მაქსიმუმ – მინიმალური ოდენობის 10-ჯერად სააბონენტო ნუმერაციის თანმიმდევრულ ბლოკზე;

გ) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორის არჩევის კოდი (რომლის ფორმატი 4-ციფრიანია (10-XX), მისი გამოყენება შესაძლებელია ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე; არჩევის კოდის შემდეგ აბონენტი ეროვნულ ზარებს ახორციელებს ეროვნული პრეფიქსის „0“ -ის და ეროვნული (მნიშვნელოვანი) ნომრის საშუალებით, ხოლო საერთაშორისო ზარებს საერთაშორისო პრეფიქსის „00“-ის, ქვეყნის კოდის და გამოსაძახებელი აბონენტის ეროვნული ნომრის საშუალებით) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა – 1 კოდზე;

დ) მოკლე ნომრებით (რომლის სრული ფორმატი 5-ციფრიანია, მისი გამოყენება შესაძლებელია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეროვნული დანიშნულების კოდისა და ეროვნული პრეფიქსის გარეშე) სატელეკომუნიკაციო (17XXX), ასევე არასატელეკომუნიკაციო (16XXX) მომსახურების მისაწოდებლად, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა 1 ნომერზე;

ე) ტექსტური/მულტიმედიური შეტყობინებების ნომრებით (რომლის ფორმატი 5-ციფრიანია (9XXXX)) უფასო, სტანდარტული ტარიფით, დამატებული ღირებულებით, დამატებული ღირებულების (საქველმოქმედო), დამატებული ღირებულების (ინტერაქტიული), დამატებული ღირებულების (მოზრდილთათვის) არასატელეკომუნიკაციო სერვისების მისაწოდებლად, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა მინუმუმ 10 (ათი) სააბონენტო ნომრისგან შემდგარ სააბონენტო ნუმერაციის ბლოკზე, ხოლო მაქსიმუმ - მინიმალური ოდენობის 10-ჯერად სააბონენტო ნუმერაციის თანმიმდევრულ ბლოკზე.

2. ნუმერაციის რესურსი უფასოდ ენიჭებათ ავტორიზებულ პირებს შემდეგ შემთხვევებში და ვადით:

ა) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირებს საინფორმაციო-საცნობარო სამსახურისთვის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებების მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზაციის ვადით;

ბ) სააბონენტო ნომრის პორტაბელურობის უზრუნველყოფის ვალდებულების მქონე ავტორიზებულ პირებს პორტირებული სააბონენტო ნომრის მარშრუტის იდენტიფიცირებისათვის (დამისამართების პრეფიქსები, რომლის სრული ფორმატი მობილურ ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში 3-ციფრიანია, ხოლო ფიქსირებულ ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში 4-ციფრიანი) – პორტაბელურობის ვალდებულების გაუქმებამდე;

გ) მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან/და მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებულ პირებს, ქსელების სასიგნალო წერტილების იდენტიფიცირებისათვის (კოდები – ქვეყნის მობილური კოდი (MCC) „282“ გამოყოფილია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ, ხოლო კომისიის მიერ ხდება მობილური საკომუნიკაციო ქსელის კოდის (MNC) მინიჭება) – შესაბამის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე ავტორიზაციის ვადით;
დ) საერთაშორისო სასიგნალო წერტილის კოდი (ISPC) (რომლის ფორმატი 5-ციფრიანია და შედგება 14 ბინარული თანრიგისაგან; სასიგნალო ქსელების ზონის საერთაშორისო კოდი (SANC) გამოყოფილია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ, ხოლო კომისიის მიერ ხდება სასიგნალო წერტილის იდენტიფიკატორის მინიჭება) – შესაბამის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე ავტორიზაციის ვადით;
ე) ეროვნული სასიგნალო წერტილის კოდი (NSPC) (რომლის ფორმატი 5-ციფრიანია და შედგება 14 ბინარული თანრიგისაგან და მისი სტრუქტურა და ფორმატი განსაზღვრულია ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ, ხოლო კომისიის მიერ ხდება სასიგნალო ქსელების ზონალური კოდის (SANC) გამოყოფა და კონკრეტული ოპერატორისათვის სასიგნალო ურთიერთჩართვის წერტილის მინიჭება) – შესაბამის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე ავტორიზაციის ვადით.
3. ნუმერაციის რესურსი არაავტორიზებულ პირებს უფასოდ ენიჭებათ შემდეგ შემთხვევებში და ვადით:
ა) საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტოს“ – უვადოდ;
ბ) საზოგადოებრივი (ევრონომერი) სამსახურებისთვის (რომლის სრული ფორმატი 6-ციფრიანია და მისი გამოყენება შესაძლებელია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე) – შესაბამისი საქმიანობის ვადით;
გ) საინფორმაციო-საცნობარო (ევრონომერი) სამსახურებისთვის (რომლის სრული ფორმატი 5- ციფრიანია და მისი გამოყენება შესაძლებელია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე) – შესაბამისი საქმიანობის ვადით;
დ) საფოსტო კავშირით მომსახურების განმახორციელებელ პირებს საინფორმაციო-საცნობარო სამსახურისთვის (რომლის სრული ფორმატი 5-ციფრიანია და მისი გამოყენება შესაძლებელია ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე) – შესაბამისი საქმიანობის ვადით;
ე) რკინიგზის სადგურების, აეროპორტებისა და საზღვაო პორტებს საინფორმაციო-საცნობარო სამსახურებისთვის (რომლის სრული ფორმატი 4-ციფრიანი) – შესაბამისი საქმიანობის ვადით;
ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „112“-ის ეროვნული სასიგნალო წერტილის კოდი (NSPC) - უვადოდ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 22 ივნისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 27.06.2012 წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 26.12.2018წ.

მუხლი 6. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოქმედების ვადა და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის წესი

1. ამ დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ნუმერაციის რესურსზე, სარგებლობის უფლება გაიცემა უვადოდ, ყოველწლიური განახლებით.
2. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების განახლება ხორციელდება ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების გაცემიდან/განახლებიდან 1 წლის ამოწურვამდე ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდით. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის კომისიისთვის წარდგენა უნდა მოხდეს ვადის გასვლამდე 10 სამუშაო დღით ადრე. ამ შემთხვევაში კომისიას სარგებლობის უფლების განახლების შესახებ ინფორმაცია შეაქვს კომისიის შესაბამის უწყებრივ რეესტრში. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დადგენილ ვადაში კომისიისთვის წარუდგენლობის შემთხვევაში, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაუქმებულად ითვლება.
3. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელი უფლებამოსილია, ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადახდის ვადის დადგომისას, მომდევნო წლის საფასური გადაიხადოს გაცემული ნუმერაციის რესურსის ნაწილზე, რომლის ოდენობა არ უნდა იყოს ამ წესებით განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობაზე ან მის ჯერადზე ნაკლები. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება, ნუმერაციის რესურსის იმ ბლოკ(ებ)ზე, რომლით სარგებლობის უფლების განახლებისთვისაც არ იქნა გადახდილი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური, ითვლება გაუქმებულად. ამ შემთხვევაში კომისიას ცვლილებები შეაქვს შესაბამის რეესტრში.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

მუხლი 7. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმება

1. ამ დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმების საფუძველია:
ა) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელის მოთხოვნა;
ბ) ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასურის გადაუხდელობა;
გ) სარგებლობის პირობების დარღვევა მფლობელის დაჯარიმების შემდეგ მის მიერ დენადი ხასიათის დარღვევის გაგრძელების ან/და დაჯარიმებიდან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში;

დ) შესაბამის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე ავტორიზაციის გაუქმება.
2. სარგებლობის უფლების გაუქმების შემთხვევაში მფლობელს მის მიერ გადახდილი ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური არ უბრუნდება.
3. ამ დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელს უფლება აქვს კომისიას მოსთხოვოს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმება იმ მოტივით, რომ ნუმერაციის რესურსს უთმობს სხვა პირს. ამ შემთხვევაში ნუმერაციის რესურსის მფლობელი და რესურსის მაძიებელი ერთობლივი განცხადებით მიმართავენ კომისიას. კომისია განცხადებას განიხილავს ერთი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.
4. ამ დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმების საფუძველია:
ა) შესაბამის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე ავტორიზაციის გაუქმება;
ბ) მინიჭებული ნუმერაციის რესურსის არადანიშნულებისამებრ და ამ წესებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით გამოყენება.
5. ამ დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმების საფუძველია:
ა) შესაბამისი სამსახურის გაუქმება;
ბ) მინიჭებული ნუმერაციის რესურსის არადანიშნულებისამებრ და ამ წესებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით გამოყენება.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

მუხლი 8. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური:

ა) ფიქსირებული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის შეადგენს – 0,10 ლარს 1 სააბონენტო ნომერზე;
ბ) მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის შეადგენს – 0,25 ლარს 1 სააბონენტო ნომერზე;

გ) უსადენო შეღწევის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის შეადგენს – 0,10 ლარს 1 სააბონენტო ნომერზე;

დ) პერსონალური ნომრებით მომსახურებისთვის შეადგენს – 10 ლარს 1 სააბონენტო ნომერზე;

ე) VOIP – ინტერნეტ პროტოკოლით ხმოვანი სატელეფონო კავშირით მომსახურებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის შეადგენს – 0,10 ლარს 1 სააბონენტო ნომერზე;

ვ) ინტელექტუალური ქსელებით (მათ შორის, უფასო, განაწილებული ხარჯებით, დამატებული ღირებულების) მომსახურებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის შეადგენს – 1 ლარს ნუმერაციის ერთ რესურსზე;

ზ) (ამოღებულია - 22.06.12, №8);

თ) ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორის არჩევის კოდზე შეადგენს – 5 000 ლარს ნუმერაციის 1 რესურსზე ;

ი) ხუთციფრა მოკლე ნომრებზე არასატელეკომუნიკაციო სერვისების მისაწოდებლად შეადგენს – 1500 ლარს ნუმერაციის ერთ რესურსზე;

კ) ხუთციფრა მოკლე ნომრებზე სატელეკომუნიკაციო სერვისების მისაწოდებლად შეადგენს – 1500 ლარს ნუმერაციის ერთ რესურსზე;

ლ) ტექსტური/მულტიმედიური შეტყობინებების მოკლე ნომრისთვის შეადგენს - 5 ლარს ნუმერაციის ერთ რესურსზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 22 ივნისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 27.06.2012 წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 26.12.2018წ.

მუხლი 9. ავტორიზებული პირების მიერ ნუმერაციის რესურსის აბონენტზე გაცემა

1. ავტორიზებული პირის მიერ გეოგრაფიული სააბონენტო ნომრები გაიცემა იმ გეოგრაფიულ ზონაში, რომელშიც რეგისტრირებულია ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ან/და მის მფლობელობაში არსებული უძრავი ნივთი.

2. ავტორიზებული პირი არ არის ვალდებული მონიტორინგი გაუწიოს აბონენტის მიერ წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული სააბონენტო ნომრით სარგებლობისას გეოგრაფიული ზონის ფარგლების დაცვას.

3. ავტორიზებული პირი უფლებამოსილია აბონენტზე გასცეს მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ნუმერაციის რესურსიდან შემოკლებული ნომერი.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 11 მაისის დადგენილება №7 - ვებგვერდი, 15.05.2012 წ.

მუხლი 10. (ამოღებულია)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 3 სექტემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 08.09.2015წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

მუხლი 11. (ამოღებულია)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 22 ივნისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 27.06.2012 წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

მუხლი 12. საზოგადოებრივი სამსახურებისთვის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) სარგებლობის უფლების მინიჭების პირობები

1. კომისიის მიერ საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) მინიჭება ხორციელდება ევროკომისიის 2007 წლის 15 თებერვლის №2007/116/EC გადაწყვეტილებით განსაზღვრული პრინციპების გათვალისწინებით.

2. საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსები (ევრონომრები) გამოიყენება შემდეგი მომსახურებისთვის:

ა) დაკარგული ბავშვების ცხელი ხაზი – 116 000;

ბ) ბავშვთა დახმარება – 116 111;

გ) ფსიქოლოგიური სატელეფონო დახმარება – 116 123;

დ) ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზი – 116006;

ე) არაგადაუდებელი სატელეფონო სამედიცინო დახმარება – 116117.

3. საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) მინიჭების მიზნით დაინტერესებულმა პირმა, გარდა ამ წესების მე-10 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა, კომისიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) იურიდიული პირისათვის – წესდების ასლი და იურიდიული პირის საქმიანობის ძირითადი მიმართულების აღწერა (მისია);

ბ) საზოგადოებრივი მომსახურების იმ სფეროში საქმიანობის განხორციელების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, რომელ სფეროშიც ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) მინიჭებას ითხოვს;

გ) დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ.

4. საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) გამოყენებით, მომსახურების მიმწოდებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში კვირაში 7 დღე ქვეყნის მასშტაბით; დაკარგული ბავშვების ცხელი ხაზის – 116 000-ის გარდა, თუ სხვა საზოგადოებრივი სამსახურების მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის 24 საათის განმავლობაში, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყველაზე მარტივი და შესაბამისი ფორმით მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია მომსახურების ხელმისაწვდომობის დროის შესახებ, რაც არ უნდა იყოს დღე-ღამის განმავლობაში 8 საათზე ნაკლები;

ბ) მომსახურება ბოლო მომხმარებლისთვის უნდა იყოს უფასო;

გ) მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მომსახურების არსებობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;

დ) მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველწლიურად, არაუგვიანეს მომდევნო წლის 1 თებერვლისა კომისიას წარმოუდგინოს გაწეული მომსახურების ანგარიში;

5. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში კომისია აფასებს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) მინიჭების თაობაზე.

6. კომისია უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილებით უარი უთხრას განმცხადებელს საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) მინიჭების თაობაზე, თუ:

ა) საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ განმცხადებლის მიზანი არ შეესაბამება საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) დანიშნულებას;

ბ) საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილია სხვა განაცხადი იმავე სახის საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) მინიჭების თაობაზე და განმცხადებელი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფინანსური, მოტივაციური და სამუშაო გამოცდილებით სარგებლობს უპირატესობით.

7. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის მიზნით შექმნილია საჯარო დაწესებულება და საზოგადოებრივი სამსახურის ნუმერაციის რესურსი (ევრონომერი) თავისუფალია შესაბამი მომსახურებაზე, ნუმერაციის მინიჭებისას უპირატესობა ენიჭება საჯარო დაწესებულებას, შესაბამისი განცხადების არსებობის შემთხვევაში.

8. იმ შემთხვევაში თუ ერთი და იმავე ნუმერაციის რესურსზე შემოსულია რამდენიმე განაცხადი, კომისიის მიერ განაცხადებების თანაბარი შეფასებისას უპირატესობა ენიჭება პირველად შემოსულ განაცხადს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 3 სექტემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 08.09.2015წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

მუხლი 13. საინფორმაციო-საცნობარო სამსახურებისთვის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი) სარგებლობის უფლების მინიჭების პირობები

1. საინფორმაციო-საცნობარო სამსახურის ნუმერაციის რესურსის (ევრონომერი - 118XX) გამოყენებით მომსახურების მიმწოდებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ენაზე;

ბ) მომსახურების მიმწოდებელი უნდა ფლობდეს შესაბამის საინფორმაციო ბაზას;

გ) მომსახურების მიმწოდებლის მიერ დადგენილი საფასური უნდა იყოს გამჭვირვალე და ხარჯზე ორიენტირებული;

დ) მომხმარებელს უნდა მიეწოდებოდეს მხოლოდ სატელეფონო-საცნობარო ინფორმაცია.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

მუხლი 14. (ამოღებულია)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

თავი III
ანგარიშსწორების წესი და პირობები

მუხლი 15. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელ პირებს შორის ანგარიშსწორების წესი

1. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელ პირებს შორის ნუმერაციის რესურსის გამოყენებით საქმიანობის განხორციელებისას ურთიერთანგარიშსწორება ხორციელდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შემდეგი პირობების შესაბამისად:

ა) ავტორიზებული პირი, რომლის აბონენტმაც წამოიწყო ზარი, ვალდებულია აუნაზღაუროს იმ ავტორიზებულ პირს, რომლის ქსელშიც იმყოფება ზარის მიმღები აბონენტი, ზარის დაასრულების საფასური;

ბ) ნუმერაციის რესურსის გამოყენებით, სატელეკომუნიკაციო და არასატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი, რომლის მიმართულებითაც წარმოიქმნება ტრაფიკი, ვალდებულია აუნაზღაუროს ავტორიზებულ პირს, (რომლისგანაც მიიღო შესაბამისი ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურება – ზარის წამოწყება, დასრულება, ტრანზიტი) ამ მომსახურების საფასური;

გ) ინტელექტუალური ქსელებით უფასო მომსახურების (800 ნუმერაციის რესურსი) მიწოდებისას, აბონენტისთვის ზარი არის უფასო, ხოლო ავტორიზებული პირებისთვის ზარის წამოწყების, დასრულებისა ან/და ტრანზიტის მომსახურების საფასურის ანაზღაურებას უზრუნველყოფს აღნიშნული ნუმერაციის რესურსით მოსარგებლე არასატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი;

დ) ინტელექტუალური ქსელებით განაწილებული ხარჯებით მომსახურების (801 ნუმერაციის რესურსი) მიწოდებისას, ზარის განხორციელების ხარჯები ნაწილდება აბონენტსა და აღნიშნული ნუმერაციის რესურსით მოსარგებლე არასატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელს შორის;

ე) 900-903 ნუმერაციის რესურსების გამოყენებით მიწოდებული შესაბამისი მომსახურებების საფასური შეიცავს დამატებულ ღირებულებას;

ვ) ავტორიზებული პირი, რომლის აბონენტმაც წამოიწყო ზარი, ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების საფასურის ამოღება აბონენტისგან, ოპერატორის არჩევის კოდის მფლობელის, ასევე სხვა სატელეკომუნიკაციო ან არასატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში (აბონენტთან დაშვების მსურველი პირი), სათანადო ხელშეკრულების გაფორმებით. აბონენტის მფლობელ ავტორიზებულ პირს (გადამყიდველი) და აბონენტთან დაშვების მსურველ პირს (გამყიდველი) შორის შესაძლებელია გაფორმდეს მომსახურების გაყიდვის/გადაყიდვის ხელშეკრულება, თუ არსებობს აბონენტთან დაშვების მსურველი პირის მოთხოვნა. გადაყიდული მომსახურების ღირებულებიდან გადამყიდველის კუთვნილი წილის (სხვაობა აბონენტის მფლობელი ავტორიზებული პირის მიერ საკუთარ აბონენტზე გადაყიდულ და აბონენტის მფლობელი ავტორიზებული პირის მიერ აბონენტთან დაშვების მსურველი პირისაგან ნაყიდი მომსახურების ღირებულებას შორის) ან აბონენტის მფლობელი ავტორიზებული პირის მიერ დადგენილი თანხის ამოღების მომსახურების საფასურის ოდენობა უნდა იყოს არადისკრიმინაციული და გონივრული. კომისია უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მომართვის საფუძველზე, გამოითხოვოს გადაყიდული მომსახურების ღირებულებიდან გადამყიდველის კუთვნილი წილის ან აბონენტის მფლობელი ავტორიზებული პირის მიერ დადგენილი თანხის ამოღების მომსახურების საფასურის გაანგარიშებები და იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ აბონენტის მფლობელი ავტორიზებული პირის მიერ დადგენილი თანხის ამოღების მომსახურების საფასური ან გადაყიდული მომსახურების ღირებულებიდან გადამყიდველის კუთვნილი წილის ოდენობა, ზღუდავს მომსახურების მიმწოდებლის ან/და აბონენტთან დაშვების მსურველი პირის დაშვებას, არ არის ხარჯებზე ორიენტირებული ან ითვალისწინებს არაგონივრულ მოგებას, კომისია უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით მოსთხოვოს აბონენტის მფლობელ ავტორიზებულ პირს თანხის ამოღების მომსახურების საფასურის ან გადაყიდული მომსახურების

ღირებულებიდან გადამყიდველის კუთვნილი წილის ოდენობის კორექცია, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესითა და პირობებით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 11 მაისის დადგენილება №7 - ვებგვერდი, 15.05.2012 წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 22 ივნისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 27.06.2012 წ.

მუხლი 16. ანგარიშსწორებების წესი ექსტრემალური ნომრებით მომსახურებისას

ანგარიშსწორების წესი ექსტრემალურ ნომრებთან დაკავშირებით განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოემბრის №355 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულებით“.

თავი IV
სანებართვო მოწმობა

მუხლი 17. (ამოღებულია)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

მუხლი 18. (ამოღებულია)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

თავი V
გარდამავალი დებულებები

მუხლი 19. გარდამავალი დებულებები

1. (ამოღებულია - 25.12.2018, №8).
2. (ამოღებულია - 25.12.2018, №8).
3. პირებს, რომლებზედაც 2012 წლის 1 თებერვლამდე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე კომისიის მიერ გაცემული იყო ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია, უფლება აქვთ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე მიმართონ კომისიას მათ სარგებლობაში არსებულ ნუმერაციის რესურსზე სარგებლობის უფლების მინიჭების მოთხოვნით.
4. პირებს, რომლებზედაც 2012 წლის 1 თებერვლამდე „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე კომისიის მიერ გაცემული იყო ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია, უფლება აქვთ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-18 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე დათმონ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ, რა დროსაც კომისიას ცვლილება შეაქვს კომისიის შესაბამის უწყებრივ რეესტრში.
5. პირებს, რომლებიც ფლობენ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას ნუმერაციის არასრულ ბლოკზე, უფლება აქვთ მიიღონ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება მათ სარგებლობაში არსებული ბლოკის შესავსებად.
6. პირები, რომლებსაც 2018 წლის 1 მარტამდე ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გაცემული ჰქონდათ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვები ან კომისიის გადაწყვეტილებით მინიჭებული ჰქონდათ ნუმერაციის რესურსი, 2018 წლის 1 მარტიდან ხდებიან ამ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მფლობელები და ამ უფლებას ინარჩუნებენ ნებართვებით/მინიჭებით განსაზღვრული ვადით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 3 იანვრის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 10.01.2013 წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის 9 ივლისის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 14.07.2015წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 26.12.2018წ.

დანართი №1

(ამოღებულია)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 26.12.2018წ.